

საიდ. №70908/03

IR 1065471

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №123-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჩემო იბერიკა ს.ა.“ (CHEMO IBERICA, S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №123-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 მარტის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №534/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CHEMO“ (საიდ. №70908/03 IR 1065471) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (პირველი, მე-5 და 42-ე კლასი).

საექსპერტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 მარტის №534/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "CHEMO" შესრულებულია ლათინური ანბანით და წარმოადგენს სიტყვა „ქიმიურის“ შემოკლებულ ფორმას. აღნიშნული სასაქონლო ნიშანი წარდგენილია პირველი, მე-5 და 41-ე კლასის მიმართ. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალში ვხვდებით ისეთ სიტყვებს როგორცაა: „ქიმიური პროდუქცია“, „ქიმიური და ბიოლოგიური კვლევები“, შესაბამისად სასაქონლო ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლისა და მომსახურების მიმართ. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა ახსნა-განმარტებები

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ჩემო იბერია ს.ა.“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშნის სიტყვიერი ნაწილი „CHEMO“ არაფორმალურად წარმოადგენს ქიმიოთერაპიის შემოკლებულ ფორმას, შესაბამისად, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნაში სხვა რამ არ არის მითითებული, შეიძლება ვარაუდი იმისა, რომ ექსპერტიზა უკავშირებს ნიშნით მონიშნულ საქონელსა და მომსახურებას ტერმინს „ქიმიოთერაპია“ და თვლის, რომ აღნიშვნა „CHEMO“ ან ატარებს ჩამოთვლილი საქონლისა და მომსახურების რაიმე მახასიათებლის აღწერილობით ტერმინს, ან წარმოადგენს იმ სფეროში ფართოდ გამოყენებად ტერმინს, რომელსაც მიეკუთვნება საქონელი ან

მომსახურება. განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება საქონლისა და მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ:

კლასი 1 - Chemical products for the pharmaceutical and medical industries (ფარმაცევტული და სამედიცინო წარმოებისათვის განკუთვნილი ქიმიური ნაწარმი); კლასი 5 - Pharmaceutical, veterinary and dietetic products for medical use (სამედიცინო დანიშნულების ფარმაცევტული, ვეტერინარული და დიეტური ნაწარმი); კლასი 42 - Chemical, biological and pharmaceutical research services; engineering (ქიმიური, ბიოლოგიური და ფარმაცევტული კვლევის მომსახურება; საინჟინრო სამსახური). აპელანტის პოზიციით, როგორც ზემოთ მოყვანილი ჩამონათვლიდან ჩანს, აღნიშვნა „CHEMO“ არ წარმოადგენს სამ განსხვავებულ - ქიმიურ, ფარმაცევტულ და სამკურნალო - სფეროში მითითებულ საერთო ტერმინს, რაც აქცევდა მას არაგანმასხვავებელუნარიან ტერმინად. ასევე, არ წარმოადგენს აღნიშვნა „CHEMO“ ზემოჩამოთვლილი საქონლის მახასიათებელ აღწერილობით ტერმინს. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ მიიჩნია ექსპერტიზამ არაფორმალური დასახელება „CHEMO“ არაგანმასხვავებელუნარიან სიმბოლოდ საქონლისა და მომსახურების აღნიშნული ჩამონათვლის მიმართ. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძველად მითითებული კრიტერიუმი წარმოადგენს უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს, რაც გულისხმობს იმას, რომ ანალოგიური გადაწყვეტილება უნდა მიეღო ყველა იმ 50 ქვეყნების უწყებას, რომელშიც მადრიდის შეთანხმების ოქმით მოითხოვებოდა



ნიშნის CHEMO დაცვა, რაც არ დასტურდება ისმო-ს ბაზის მონაცემებით, კერძოდ, არც ერთ ქვეყანას, რომელმაც გამოიტანა უარყოფითი გადაწყვეტილება ნიშნის დაცვაზე, გადაწყვეტილების საფუძველად არ მიუთითებია აღნიშვნის „CHEMO“ არაგანმასხვავებელუნარიანობა. აპელანტის მითითებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშვნა „CHEMO“ არაგანმასხვავებელუნარიანი სიმბოლოა საქონლისა და მომსახურების აღნიშნული ჩამონათვლის მიმართ, ეს გარემოება შეიძლება გახდეს უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

სასაქონლო ნიშანი წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ამ აღნიშვნით, მოცემულ შემთხვევაში კი სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი კომბინირებულია და მისი გამოსახულებითი ნაწილი წარმოადგენს ფერადი რკალებით შედგენილ ორიგინალურ გამოსახულებას, რომლის უგულვებელყოფა ექსპერტიზის მიერ სრულიად გაუგებარია. აპელანტის განმარტებით, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი „CHEMO“ წარმოადგენს მფლობელი კომპანიის „ჩემო იბერიკა, ს.ა.“ დასახელების ნაწილს და ვინაიდან, მფლობელი წარმოადგენს ესპანურ კომპანიას, მისი დასახელება უნდა წაკითხულ იქნას ესპანური ენის ტრანსკრიფციით, შესაბამისად,



ნიშნის CHEMO სიტყვიერი ნაწილი იკითხება, როგორც „ჩემო“ და არა „ხემო“, როგორც ამას ექსპერტიზა კითხულობს. ქართველი მომხმარებელი ამ აღნიშვნას, ძირითადად, წაიკითხავს ინგლისური ენის ტრანსკრიფციით, როგორც „ჩემო“ და ნაკლებად სავარაუდოა, რომ იგი დაუკავშიროს ქიმიოთერაპიის შემოკლებულ არაფორმალურ დასახელებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 მარტის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №534/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CHEMO“ (საიდ. №70908/03 IR 1065471) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააკელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „CHEMO“ (IR 1065471) სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს ფერადი რკალებით შედგენილ გამოსახულებით ელემენტს. კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნულ სასაქონლო ნიშანში შემავალი სიტყვიერი ელემენტი „CHEMO“ განმასხვავებელუნარიანია განცხადებული

საქონლისა და მომსახურების მიმართ. კერძოდ, „CHEMO“ აღნიშნავს ქიმიოთერაპიის შემოკლებულ ფორმას, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მისი სემანტიკური მნიშვნელობა არ არის ცნობილი ქართველი მომხმარებლისთვის და აქედან გამომდინარე, განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი „CHEMO“ ფანტაზიურია განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ. შესაბამისად, არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CHEMO“ (№70908/03 IR 1065471) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჩემო იბერიკა ს.ა.“ (CHEMO IBERICA, S.A.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 მარტის

№534/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CHEMO” (საიდ. №70908/03 IR 1065471) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „CHEMO” (საიდ. №70908/03 IR 1065471) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ს. დუმბაძე

დ. ჭიჭინაძე